სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/341

ქ. თბილისი

5 ნოემბერი 2019

დოქტორანტისათვის ყოველკვირეული, შუასემესტრული ტესტირებების და დასკვნითი გამოცდების დისტანციურად ჩაბარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ზ. წვერაიძის მოხსენებითი ბარათის, სადოქტორო პროგრამა „ინფორმატიკის“ დოქტორანტ დავით ჯაშის სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფ. ლ. ჩხაიძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 ნოემბრის №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „ინფორმატიკის“ დოქტორანტ დავით ჯაშს მიეცეს უფლება ყოველკვირეული, შუასემესტრული ტესტირებები და დასკვნითი გამოცდები ჩააბაროს დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**